



ქრისტიანული სამარხი ძეგლები შუა საუკუნეების საქართველოში
არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით

გიგა სხირტლაძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: არქეოლოგია

ხელმძღვანელი: ნოდარ ბახტაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

არქეოლოგიის მიმართულების პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი - 2021

განაცხადი

როგორც წადგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

/გიგა სხირტლაძე /

31.01.2021

მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ ნოდარ ბახტაძეს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მუდამ მეხმარებოდა დამატებითი მასალის მოწოდებით, რჩევებით და შენიშვნებით.

მადლობა მინდა ვუთხრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა იმ პროფესორს, რომელთაგანაც ჩემი საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე სწავლების განმავლობაში, ფასდაუდებელი ინფორმაცია და ცოდნა შევიძინე.

მადლობა მინდა გადავუხადო არქეოლოგიის დოქტორ ვაჟა მამიაშვილს გაწეული კონსულტაციებისათვის და ნაშრომის საილუსტრაციო ნაწილის გამართვაში დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

დაკრძალვის წესი ამა თუ იმ საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი მეტად საყურადღებო მომენტი. ის უამრავ საინტერესო ინფორმაციას მოიცავს ამ საზოგადოების სოციალური განშრევების, პოლიტიკური სიტუაციის, ზოგადი ისტორიის თუ კულტურის დამახასიათებელი საკითხების შესახებ. სამარხეული ძეგლები ქართულ სინამდვილეშიც უმნიშვნელოვანეს პირველწყაროდ გვევლინება და მათი მნიშვნელობაც მეტად დიდია, რაც ნარატიული წყაროების სიმცირითაა გამოწვეული. უშუალოდ შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების ცხოვრების გაცოცხლება და მასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობაც, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ არქეოლოგიური მასალის გაანალიზებას ემყარება.

პრობლემის კვლევის სფერო და ნაშრომის სტრუქტურა განსაზღვრა „დაკრძალვის წესის“ მეთოდოლოგიურმა მხარემ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქის საქართველოში დადასტურებული სამარხების ტიპები, აღნაგობა და დაკრძალვის წესი, ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში უმეტესად ერთმანეთისაგან გათიშულადაა წარმოდგენილი. ამ მიდგომას მრავალი პრობლემა და არასწორი ინტერპრეტაცია მოჰყვა. მაგალითად, დღემდე არ იყო დაყენებული საკითხი სამარხთა ტიპების ლოკალური ტერიტორიული გავრცელების შესახებ; ან კიდევ - არსებობს თუ არა განსხვავება ქართლისა და ეგრისის სამეფოების ქალაქების ან სხვა დასახლებების ბინადართა დაკრძალვის წესებში.

დაკრძალვის წესები ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეებშიც აღმოსავლეთ საქართველოში დიდი ინფორმაციის მომცველია. ის სხვადასხვაგვარია I-IX სს-სა და X-IV საუკუნეებში - კარდინალურად თუ არა, მნიშვნელოვნად მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან. ამ ორი ეპოქის დაკრძალვის წესში ასახულია საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეები, რომლებიც გარკვეული ფაქტორებითაა განპირობებული. დაკრძალვის წესის შესწავლამ და მისთვის

დამახასიათებელმა კომპონენტებმა შუა საუკუნეების საქართველოში, საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ის არც თვით I-IX სს-ისა და X-IV სს-ის განმავლობაში აბსოლუტურად კანონიზირებული და ერთგვარი არ ყოფილა. ნაშრომში სწორედ ამ განსხვავებული ნიშნებისა და მათი განმაპირობებელი ფაქტორების წარმოჩენაზეა ყურადღება გამახვილებული.

ქრისტიანული დაკრძალვის წესი, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, მნიშვნელოვანწილად კანონიზირებული ჩანს გვიანი შუა საუკუნეების საქართველოშიც, მაგრამ ამ წესების დაცვა ზედმიწევნით მხოლოდ მოსახლეობის გარკვეულ, ძირითადად შეძლებულ ფენებს ხელეწიფებათ და ისიც, ხანდახან ისლამური კულტურის გარეგნული ელემენტების შეჭრით ხასიათდება.

Abstract

The rule of burial is one of the most significant moments in the existence of this or that society. It consists of plenty of interesting information about the social division, political situation, typical issues of general history or culture of this society.

Burial monuments are one of the most important original sources in Georgian reality and their importance is very meaningful, which is due to the lack of narrative sources.

The revival of the life of medieval Georgian society and the discussion of related issues are often based only on the analysis of archeological material.

The area of the problem research and the structure of the tractate were determined by the methodological side of the “burial rule”.

It should be mentioned that the types of tombs structure and burial rule which were confirmed in Georgian of this epoch are mostly presented as disconnected from each other in Georgian archeological literature.

This approach has led to many problems and misinterpretations.

For example, the question of the local territorial distribution of burial types has not been raised to this date; Or again - is there a difference in the rules of burial of the inhabitants of the cities or other settlements of the Kingdom of Kartli and Egrisi.

Burial rules contain a great deal of information in really and developed medieval eastern Georgia.

It is different in the I-IX centuries and X-IV centuries - cordially or not, at least they are significantly different from each other.

The burial rules of these two epochs reflect different aspects of social life, which are determined by certain factors.

The study of the burial rules and its characteristic components in medieval Georgia allowed us to define that it was not absolutely canonized and similar during the I-XI centuries and the X-IV centuries.

The work focuses on the presentation of these different signs and their determinants.

According to archeological materials the rule of Christian burial seems to be significantly canonized in late medieval Georgia as well, but to keep these rules is only possible for certain, mostly the wealthy level of the society and this, too, it is sometimes characterized by the invasion of external elements of Islamic culture.